№ 44 თებერვლის 26, სამშაბათი. 1866—1885 თებერვლის 26, სამშაბათი. № 44

„დროების“ რედაქცია—სასახლის ქუჩაზე, დ. სარაჯოვის სახლში.
ხელის-მოწერა მიიღება თბილისში, რედაქციაშივე; ქუთაისში, ჭილაძეების წიგნის მაღაზიაში. გარეშე მცხოვრებთათვის ადრესი: Тифлисъ, ред. «Дроэба»
ფასი: წლით 9 მ., 11 თვით 8 მ. 50 კ.; 10 თვით—8 მ.; 9 თვით—7 მ 50 კ.; 8 თვით—7 მ.; 7 თვით—6 მ. 6 თვით—5 მ.; 5 თვით—4 მ. 50 კ.; 4 თვით—4 მ; 3 თვ.—3 მ.; 2 თვ.—2 მ.; 1 თ.—1 მ.
ცალკე ნომერი «დროებისა» ღირს 5 კაპეიკი.

# დროება

გამოდის ყოველ-დღე ორშაბათს გარდა.

ფასი განცხადებისა: მეოთხე გვერდზე სტრიქონზე 8 კაპ.; პირველზე 16 კაპ. სრული უგანცხადებლო გვერდი 25 მანათი; პირველი 50 მან. რიცხვი სტრიქონებისა ითვლება მათგან დაჭერილის ადგილის კვალობაზედ.
თუ საჭიროება მოითხოვს, რედაქცია გაასწორებს დაშეამოკლებს დასაბეჭდად გამოგზავნილ წერილებს დაუბეჭდველ წერილებს რედაქცია ვერ დაუბრუნებს ავტორს.
„Объявленія изъ Россіи, Царства Польскаго и за границы принимаются только въ цент., конторѣ объявл. Л. Метцль., Москва, Петровка, № 6

შემდეგი ნომერი გაზეთისა გამოვა ხუთშაბათს, თებერვლის 28-ს.

„დროების“ ფასი მარტის პირველიდამ წლის დამლევამდე 8 მანათი, სოფლის მასწავლებელთათვის 6 მანათი.

წლით ხელის-მომწერნი ამ წლის ყველა ნომრებს მიიღებენ.

## შინაური ქრონიკა

═ ჩვენ მოგვივიდა შემდეგი ტელეგრამა ოდესიდამ: «დღეს დისერტაციის წარჩინებით დაცვის შემდეგ მაგისტრს პეტრე მელიქიშვილს მიანიჭეს ქიმიის დოქტორობა. ახალი დოქტორი ხალხით სავსე აუდიტორიამ დააჯილდოვა აღტაცებული ტაშით. საღამოს აქაურმა ქართველობამ ნადიმი გაუმართა ღირსეულს ქართველ მეცნიერს».

═ როგორც გავიგეთ, გუშინ თბილისის პოლიცმეისტერი მისულა სომხების ზაიანცის სკოლაში და გამოუცხადებია ამ სკოლის გამგეობისათვის, რომ ან დაემორჩილონ მთავრობის განკარგულებას სომხური სკოლების შესახებ და ან დაკეტონ ესენი.

═ ს. ქვემო-მაჩხაანიდამ გვაცნობებენ: ამ სამი თვის წინად გაათხოვეს ერთი ქალი, ამ უკანასკნელის სურვილის წინააღმდეგ. ამ თვის 18-ს ღამით, თავის სურვილის წინააღმდეგ მშობლების მეოხებით გათხოვილი ქალი გასულა კარში და ქმრისათვის დაუძახნია: აქ გამო, რა გიჩვენო. ქმარიც გასულა და კარებში ცოლს ხანჯალი დაუტაკებია უბედურისათვის მუცელში. ქალს თვითვე დაუწყია კივილი: „მიშველეთ, ქმარი მომიკლეს ავაზაკებმაო“! მეზობლები მიცვივნულან და ცოცხალ-მკვდარს ქმარს საქმის გარემოება დაწვრილებით უამბნია მათთვის.

═ ოფიციოზურს გაზეთს «კავკაზში» დაბეჭდილია რუსულად განცხადება ქუთაისის ურთი-ერთ შორის კრედიტის საზოგადოებისა, რომელიც გვაუწყებს, რომ მარტის 12-ს, შუადღის შემდეგ ქვს საათზე დანიშნულია მორიგი კრება ამ საზოგადოების წევრთა. კრებას შემდეგი საქმეები აქვს: 1) განხილვა და დამტკიცება საზოგადოების ყველა საქმეთა წარმოების და საქმეთა მდგომარეობის ანგარიშისა, გასულს 1884 წ., მოგების განაწილება და განაჩენის დადება სარევიზიო კომისიის მოხსენებაზე; 2) მოსმენა საზოგადოების რჩევის მოხსენებისა 1884 წ. საზოგადოების მოღვაწეობაზე; 3) მომავალ წლისათვის ხარჯთა აღრიცხვის დამტკიცება და 4) საზოგადოების წესდებისამებრ გამომავალთა მაგიერ ამორჩევა: რჩევის ორი დეპუტატისა, საზოგადოების მმართველობის ერთის წევრისა, სარევიზიო კომისიის წევრთა, მათი კანდიდატებისა, და აგრეთვე იმ მოთანამდებე პირთა, რომელნიც, შეიძლება, თავიანთის სურვილით გამოვიდნენ.

═ თებერვლის ცხრამეტს უნდა ყოფილიყო ამიერ კავკასიის რკინის გზის გამსესხებელ-შემნახველ კასის წევრების კრება. რა გადასწყვიტა ამ კრებამ, ჩვენ არ ვიცით, მაგრამ კასის ისტორია კი გადმოგვცესო, ამბობს გაზეთი „კასპი“ შემდეგი ორიოდე სიტყვით: დაარსების დროს კასას ჰყავდა რამდენიმე ასი წევრი და 6,000-ოდე მანათი. ეს ფულები მალე გაიტანეს სესხად მაღალ თანამდებობის პირთა, რომელთაც დიდ-ძალ სესხებს აძლევდნენ 500—700 მანეთობით და ხან 1000-საც. წვრილმა წევრებმა, რა დაინახეს რომ მაღალი თანამდებობის პირთ დიდ-ძალი სესხი გააქვთ და მათ კი 10—15 მან. სესხებაც უჭირსთ,—დაიწყეს წევრობიდან გასვლა. დღეს კასას ჰყავს მხოლოდ 15 წევრი. ცხადია, რომ აღვსებულა ფიალა მისის არსებობისა.

═ ამას წინად ჩვენს გაზეთში მოხსენებული იყო, რომ აბხაზეთში დასახლების მსურველნი ესტლანდიიდანაც მოდიან იმ მაცდური ხმების გამო, რომელიც გაუვრცელებია მათში ესტლანდიური გაზეთის კორესპონდენტს, რომელიც აღთქმის ქვეყნად სახავდა თურმე უბედურს, უპატრონო აბხაზეთს.—ეხლა ჩვენ ვკითხულობთ მოსკოვის უწყებებში, რომ ესტლანდიის მთავრობას გამოუცხადებია იქაურ გაზეთებში: ესტლანდიიდან გადასახლების მსურველთ ნუ ექნებათ იმედი, რომ იქ რაიმე შეღავათი (ლგოტა) მიეცესთ მათ დასახლების დროსო. ამასთანავე ნუ დაივიწყებენ, რომ გადასახლების ნება მხოლოდ იმ გლეხებსა აქვთ, რომელნიც აიღებენ საჭირო ნება-რთვას იმ ადგილის მთავრობისაგან, სადაც ჰსურთ გადასახლება და ისიც მხოლოდ მაშინ, როდესაც გადასახლების მსურველნი ან მათი ვექილები წინადვე დაათვალიერებენ ადგილებსაო.

## „დროების“ კორესპონდენცია

ახალი-სენაკი. თებერვლის 18-ს. წელს მოულოდნელად ჩვენი სენაკის საზოგადოება მოაკლდა ერთ ყველასაგან ჩვენს მაზრაში პატივცემულ მოსამსახურე პირს, როგორც სახელმწიფო, აგრეთვე საზოგადო საქმეებშიც სასარგებლოს, ნიკოლოზ დავითის ძეს ჩარკვიანს, რომელიც გადაყვანილ იქმნა, ამ თვის 15-დამ იმავ თანამდებობაზე, ქუთაისის სამაზრო ხაზინაში. ეს მეთერთმეტე წელიწადია, რაც იგი ხაზინადრად არის ახალ-სენაკში, და ერთს ადამიანს ვერ იპოვნით მისს მომდურავს.

გარდა თავის პირ-და-პირი მოვალეობისა, იგი არ ერიდებოდა საზოგადო საქმეებშიაც შრომას, თუ-კი

## «დროების» ფელეტონი, თებ. 26-ს

### საყვირის მკვრელი

(მიბაძვა დავით გურამიშვილისა)

საყვირის მკვრელსა ამიკრეს პირი;
ამასა ვსჩივი, ამასა ვსტირი!
და ჩემს გრძნობასა უხმებს მირი;
ამასა ვსჩივი, ამასა ვსტირი!
უმღური ვსდები, მიმატებს ჭირი;
ამასა ვსჩივი, ამასა ვსტირი!
მუდამ ვმარხულობ, ვით ბერი მწირი;
ამასა ვსჩივი, ამასა ვსტირი!
გამიწყრა ზენა, წამერთვა ენა;
ამისა ვსჩივი, ამასა ვსტირი!
ძმა ძმას ღალატობს, არა აქვს პირი;
ამასა ვსჩივი, ამასა ვსტირი!
ქვეყნად ცხოვრება შეიქმნა მწვირი;
ამასა ვსჩივი, ამასა ვსტირი!
გამსადეს ვირი, ამკიდეს კირი;
ამასა ვსჩივი, ამასა ვსტირი!
ოხრადა მრჩება ქამანჩა სტვირი;
ამასა ვსჩივი, ამასა ვსტირი!

ქ. გორი. ი. დ.

### საზარელი სამკვიდრო

ფილოსოფიური მოთხრობა

ბ. პალფრუასი

ფრანცუზულიდამ*

აპრილის 2-ს.

ამაოდ ვცდილობდი გამოლაპარაკებას; დავიწყე თუ არა, სწრაფლად შემაყენა: „სწორედ უნდა გითხრა, ჩემო კარგო, სთქვა იმან გულ-ქვავად, როგორც ამ ბოლოს დროს შემოილო ჩემთან ლაპარაკის დროს,—არ მესმის რა დაგმართვია და ვერც მიმხვდარვარ, თუ რა გაქვს სათქმელი“. მე ველარ შევბედე ლაპარაკის გაგრძელება.

მაისის 8-ს.

ეს რამდენიმე დღეა, იგი სრულიად თავ აულებლივ მიეცა ქიმიის გამოკვლევას; ჩაკეტილ კაბინეტიდამ აღარ გამოდიოდა. დღეს ველარ მოვითმინე და მუშაობის დროს შევედი იმასთან; ხმა არ გამცა, მაგრამ ერთი სხვანაირი სიმძულვარის ღიმილით გადმომხედა. ვიგრძენ, რომ ფერი შემეცვალა.

მაისის 15-ს.

ხშირად ვატყობ, რომ უცნაურად მაშტერდება; აღარა ვცდები: იმის შემოხედვაში მძულვარება გამოიხატება; თანაც მატყობს, რომ ვშიშობ და ეს უფრო ახარებს.

თიბათვის 2-ს.

არა გამეგება-რა, აღარა მესმის-რა. მეშინიან..... იმას ვეზიზღები, არ ვიცი კი რადა. შეძულების მიზეზი ვერ მიპოვია, თუმცა ეჭვი აღარ არის; რომ ვძულვარ; მე მგონია, ეხლა იმის თვალებში, როგორც წიგნში, ამოვიკითხავ ხოლმე ყველაფერს, რაც მხოლოდ ჩემთვის არის გასაგები.

თიბათვის 7-ს.

საშინელი ამბავია ჩემს თავს! დღეს დილით რაც ლონე მქონდა, შემოვიკრიბე, რაც უნდა მომსვლოდა, მინდოდა მომელაპარაკნა იმასთან და ხელ-მეორედ შევედი იმის სამუშაოთახში. თუმცა ვიცოდი, რომ არ უყვარს, როდესაც საქმის დროს უშლიან, მაგრამ უნდა რითიმე ბოლო მომეღო. რომ მივუახლოვდი, ხელით შემაყენა: „ერთს წამს დამაცადე, მითხრა იმან,—ეხლავე შევასრულებ ამ დაწყებულ საქმეს“. შუშაში ჩაასხა თავის ხელით შეზავებული რაღაც უფერო წამალი და ასუნებინა კატას, რომლებზედაც მუდამ სცდიდა ხოლმე თავის გამოკვლევას (იმას ყოველთვის სძულდა ეს საბრალო პირუტყვები); კატა იმ წამსვე მკვდარი დაეცა. მაშინვე ერთი საშინელი მრისხანებით გადმომხედა; შევატყე, რომ იმისგან მეც სასიკვდილოდ გაწირული ვიყავ. ჩვენ ერთმანეთს ხმა არ გავეცით და იმ წამსვე თავზარ დაცემული გამოვედი ოთახიდამ.

თიბათვის 10-ს.

არ ვიცი, ცოცხალი როგორ-ღა

*) იხილე „დროება“ № 42.

რამე სარგებლობის მოტანა შეეძლო. იგი ბეჯითად მართავდა ორი წლის განმავლობაში გამსესხებელ-შემნახველ კასის საქმეს და მის მართვის შედეგი იყო წევრების რიცხვის გამრავლება და ფულის სარგებლის მომატება. ამ შრომისთვის საზოგადოებამ გამოუცხადა დიდი მადლობა და დაუნიშნა ჯილდოდ სამოცი მანათი, რომელიც მან იმ წამსვე ახალი-სენაკის ნორმალური სასწავლებლის შენობისთვის შესწირა. იგი ცდილობდა ჩამოეგდო ხოლმე მშვიდობა უკმაყოფილო პირთა შორის და არ ეზარებოდა ემუშავნა ხაზინაში რამოდენიმე საათი, შემდეგ მისი პირ-და-პირი მოვალეობის შესრულებისა. ხშირად შევხვედრივარ, რომ სამსახურის გათავების დროს მოსულა ფოსტის ფულის შემკრები ფულის შემოსატანად და უთხოვნია ამ უკანასკნელისათვის ფულის მიღება, რომელზედაც არასოდეს უარი არ უთქვამს და წაულაპარაკნია: „ამ საწყალ გლეხს დუქანში ფული არავინ ამოაცალოს და საუკუნოდ ცოლ-შვილიან არ დაიღუპოს. მოდი, მე ნახევარ საათს მეტს ვიმუშავებ და ამ გლეხს ამ უბედურებას ავაცდენ."

ამ დღეს სენაკის საზოგადოებამ ბ. ჩარკვიანს წრფელის გულით გაუკეთა გამოსათხოვარი სადილი, რომელზედაც რამოდენიმე წარჩინებულმა პირმა შესაფერი სიტყვა წარმოსთქვეს. დასასრულ მივულოცავ ქუთაისის მაზრას ამისთანა საიმედო და ბეჯითი მოსამსახურე პირის შეძენას. ვისურვებთ სულითა და გულით, რომ ჩვენს მომავალ ხაზინადარს დაემსახურებინოს საზოგადოებაში ის ნდობა და სიყვარული, როგორც დაიმსახურა იმისმა წინა-მოადგილემ ნ. დ. ჩარკვიანმა.

## უცხოეთი

—

**ინგლისი.** «ინდოეთი ინდოელთათვის!» — ეს ჰქვია სახელად იმ პოლიტიკურსა და ინტერესით ალსავსე ბროშიურას, რომელიც ამ დღეებში გამოუცია ინგლისელს მისტერ დიგბის ინდოეთისა და ინგლისის შორის განწყობილების გაუმჯობესობის განზრახვით. დიგბი ნათლად სახავს ინდოელების ბედკრულ მდგომარეობას და საშინელს უბედურებას წინასწარმეტყველებს ინგლისისათვის ინდოეთში. მისი სიტყვით ეს უბედურება გადააჭარბებს ყველა იმ უბედურებათა, რომელნიც წინად სწვევია ინდოეთში ინგლისს, და გადააჭარბებს მით უფრო, რომ ამ საუკუნეში თორმეტჯერ საზარელი სიმშილი სუფევდა ამ უბედურს მხარეში. ავტორს დაწვრილებით გამოუკვლევია ინდოელთა ეკონომიური ყოფა-ცხოვრება და დაუნახავს, რომ მთელი 1/5 ესე იგი მთელი 40 მილლიონი ხალხი საშინელს სიღარიბეშია და ითმენს აუწერელს სილატაკეს იმის ტომ, რომ ინგლისი სრულიად გულგრილად ეპყრობა მისს ინტერესებს. ინგლისმა არ უნდა დაივიწყოს, რომ მისი მფლობელობა ინდოეთში დამყარებულია მხოლოდ ბედნიერს შემთხვევაზედ (ოსტატობაზედ-თქო აღარ ვიტყვით) და არა იმას, რომ ინგლისელი ადმინისტრატორები ვითომც ზნეობით უფრო წარჩინებულნი არიან მკვიდრ ხალხზე. მისტერ დიგბის აზრით, მიუცილებელად საჭიროა შეიცვალოს წესი ინდოეთის მართვისა, უნდა ხელიდამ გამოეცალოს ინგლისელებს გამგეობა ამ ქვეყნისა და თვით ქვეყნის ღვიძლ შვილთა, ინდოელებს გადაეცეს მართვა საკუთარის ქვეყნისა, რადგან, როგორც ადმინისტრატორები, ესენი ბევრად მაღლად სდგანან ინგლისელ მმართველებზე. ინგლისელებს მხოლოდ ერთად ერთი უფლება პოლიციური თანამდებობა უნდა დაეთმოსთ ამ ქვეყანაში და მხოლოდ მაშინ შეიძლება აქ მშვიდობიანობა დამყარებულად ჩასთვალოს კაცმა. ყოველ ამით უნდა იხელმძღვანელოს ინგლისის მთავრობამაო, განაგრძობს ავტორი ბროშიურისა, მხედველობაში უნდა იქონიოს ერთის მხრით ჯერ ქრონიკულნი სენი, ბრიტანიის ინდოეთში მოდებულნი და მეორეს მხრით უკიდურესი მდგომარეობა ადგილობრივ მცხოვრებთა, რომელთაც არა ჰყავთ არც ერთს დაწესებულებაში, თუ უწყებაში თავიანთი წარმომადგენელი; ყველა მოწინავე თანამდებობა ინგლისელებს ჩაუგდიათ ხელში. ყოველივე ეს ცხადია, და ბოლოს უნდა შეიგნოს თუ არა ინგლისმა საჭიროება — შეიცვალოს ეხლანდელი წესი მართვისა ინდოეთში იმ რიგად, როგორადაც ამას მოითხოვს დრო და გარემოება.

თუ კი ესეთს დროს, როგორც ინგლისს უდგას ამ ჟამად სუდანის და ავღანისტანის საქმეთა გამო, ამ საქმეთა გარდა სხვა რამ გარემოებაც მიიპყრობს საზოგადოების ყურადღებას, ეტყობა, ამ გარემოებას კარგა ძალი მნიშვნელობა უნდა ჰქონდეს. და მართლაც ყურადღების ღირსია უელსის პრინცის განზრახვა, რომ ირლანდია მოიაროს, ეწვიოს ირლანდიელებს, რომელთაც ინგლისს თავიანთ აფეთქებებით ამდენი უსიამოვნება (რომ არა ვსთქვათ უბედურება) მიაყენეს. მასუკან, რაც ირლანდიელებმა ბევრს წარჩინებულ პირთ და თვით ვიცე-კოროლსაც მიუგზავნეს უსახელო ბარათები, რომ უელსის პრინცს ვერაფერს მასპინძლობას გაუწევთ და ნურც გვეწვევაო, ვიცე-კოროლიც, უეჭველია დასტოვებდა განზრახვას ირლანდიისაკენ გამგზავრებისას.

**საფრანგეთი.** გასულს კვირას პარიჟში გარდაიცვალა ნიჭიერი მწერალი ჟულ ვალესი. პარიჟელებმა დიდის ამბით დაასაფლავეს იგი. ჟულ ვალესი ეკუთვნოდა კომუნარების დასს და ჭირისუფლადაც გასვენებაზედ უმეტესად ამ დასისანი აღმოუჩნდენ. გასვენებაზედ ერთმა გარემოებამ გამოიწვია კარგა გვარიანი მუშტი-კრივი; გვირგვინთა შორის იყო ერთი ზედწარწერით: ნემეც სოციალისტებისაგან. ეს გარემოება ვერაფრად ეჭაშნიკათ ფრანცუზ ანარხისტებს და უსტვინეს რეინ-გადამელებს. ნემეცებმაც შეურაცხებად მიიღეს ეს და სიტყვა-სიტყვაზედ ლაზათიანი ცემა-ტყეპაც შეექნათ. პოლიცია არ გაერია ამ შეტაკებაში და ამ გვარის ლანძღვა-გინებით და ჩხუბით მიასვენეს მიცვალებული საფლავამდის. ამ გარემოებას გაზეთებმა არ აუხვიეს გვერდი და დღეს ამ უბრალო ამბავმა ლამის ხალხთა-შორებრივის საქმის ხასიათი მიიღოსო. ნემეც-სოციალ-დემოკრატები დაბეჯითებით გაიძახიან, რომ ისინი მეგობრები არიან ფრანცუზებისა; ეს უკანასკნელნი კი წარსულზე უჩვენებენ.

— ჩვენ საფრანგეთს-კი არა, ნაპოლეონს ვეომებოდით! — გაიძახიან პარიჟელი ნემცები:

— განა ნაპოლეონს რო ეომებოდით — ფრანცუზებს არა ჰხოცდით! — ეუბნებიან ბრაზ-მორეული ფრანცუზები.

— ჩვენ გვაძმობილებს საზოგადო დიდი იდეა!.. არწმუნებენ ნემეცები.

— Et les pendules? ჰკებენ ფრანცუზები. მოგვეცით ომში მოტაცებული საათები, დაგვიბრუნეთ ვენახები თქვენგან ფეხით მოთელილი შამპანიეში, მოგვეცით ალზას-ლორენი.

— მგ ჩვენს ხელთ არ არის, — უფიცვენ ნემეცები.

— ო!? არ არის! მაშ მიბრძანდით! — გააფთრებულად ეუბნებიან ფრანცუზები...

---

ვარ... სულ ველოდები, და რას ველოდები მერე — რასა და სიკვდილს. ამაოდ ვეკითხები ჩემს თავს, თუ რა ვქნა, როგორ მოვიქცე? გამოვაცხადო! მერე, ვინ დამიჯერებს? ვითომ მე თითონ რატომ არ ჩამთვლიან გიჟად? და თუნდ რომ დამიჯერონ კიდეც, მაგისთანა ჩირქი როგორ უნდა მოვცხო ჩვენ ოჯახს, ჩვენს შვილს? არა, არასოდეს არა ვიქ მაგას!

მკათათვის 16-ს.

მე ძალიან ავად ვიყავ, ვერავინ მიხვდა ჩემის ავად-მყოფობის მიზეზს. თვით ექიმი ვარენიც კი შესცდა. საშინელი სისუსტე დამემართა, ძილად ვიყავ გადაქცეული; მეგონა თავს ვერ დავაღწევ და ეს არის სიკვდილი განმათავისუფლებს ამ ტანჯვიდამ მეთქი... მაგრამ ახალ-გაზდობამ და მაგარმა აგებულებამ დასძლია სენს... ალბად საწამლავი სამყოფი არა ყოფილა.

მარიამობისთვის 5-ს.

აქამდის თუ ეჭვი მქონდა, ეხლა ეს ეჭვი სრულიად გაიფანტა; ჩემი თვალით დავინახე, ჩემმა ქმარმა რაღაც საწამლავის ორიოდ წვეთი როგორ ჩაუშვა ჩემს სასმელში. მეც დავლიე და მაშინვე კი ჩემის ხელითვე გამოვრეცხე სტაქანი, რომ არავის შეეტყო ნამდვილი გარემოება. ამ გზობით გადავრჩი, მაგრამ როდემდის? დახე უბედურებას! რატომ მაშინვე არ მოვკვდი?

მარიამობისთვის 25-ს.

ვატყობ, რომ შტერი მემართება და იმ გვარ მდგომარეობაში ვარ, რომელიც ეხლა ჩემთვის ადვილი გამოსაცნობია; უეჭველია, ადრინდელივით ვერას გავიგებ; ეხლა კი უსათუოდ ბოლო მომელება. ვნატრობ სიკვდილს, თითქმის მოხარულიცა ვარ, რადგან ამ ექვს თვეში დიდი ტანჯვა გამოვიარე. არაფრის დატოვება არ მენანება ამ წუთი სოფელში გარდა შენისა, ჩემო პატარა ჟაკ; საბრალო პაწიავ, მშვიდობით!

IV

ჟაკი თრთოლვით, თავ-ზარ დაცემული შედგა. შუბლზედ წურწურით ოფლი ჩამოსდიოდა. თავი ველარ დაეკავებინა; თუ იმ დროს ვინმე შესწრებოდა, ისე ლონე-მიხდილი იყო, რომ სამარემდის წასალებს საიდუმლოს, გაამხელდა. ბოლოს ულონოდ დაეცა სავარძელზედ და რამდენიმე საათი ჩუმად, უძრავად, დადუმებული იდვა. აზრი ველარ შემოიკრიფა წინაშე იმ საშინელი უბედურებისა, რომელიც ეხლა გაუმხილდა.

თავის შესამაგრებლად დიდი ძალლონე დასჭირდა; მაინც გაიმარჯვა, რადგან მხნე გულის პატრონი იყო: არ მოუნდა არც გზის გადახვევ-გადმოხვევა, არც ტორტმანი და პირ-და-პირ შეუდგა თავის მდგომარეობას. — მხოლოდ მე უნდა ვიცოდე ეს ამბავი, უთხრა იმან თავის თავს, სხვანი არც კი უნდა მიხვდენ თუ წარსულმა რა საშინელი ცვლილება მოახდინა ჩემს ცხოვრებაში. — და ისე მოიწყო სახის გამომეტყველობა, რომ ნამდვილს ვერავინ ვერ მიუხვდა. უნდა განგებ თვალი ედევნებინათ, რომ იმის ქცევაში დაენახათ რაიმე ძალიან ძნელად შესამჩნევი ცვლილება. თვით ცოლმა ვერა შეატყო-რა, თუმცა მისდამი უზომო სიყვარულსა გრძნობდა. ჟაკი ადრინდელივით ალერსიანი და მოსიყვარულე ქმარი იყო, მხოლოდ პირ-სიცილი აღარ მოსდიოდა, დადარბაისლდა.

ეხლა ხშირად, ვითომ და შრომისათვის, დაკეტილში იჯდა, მარტოდ-მარტო რამდენიმე საათობით და სულ ფიქრებში იყო.

განა ეს ყველა მართალია? იქნება მომელანდა? განა შესაძლებელია ამისთანა საზარელი დანაშაულობა მამაჩემს დაჰბრალდეს, მერე იმ მამას, რომელსაც ასე პატივსა ვსცემდი, ასე მიყვარდა, რომლის მოგონება ჩემთვის თაყვან-საცემელია? არა, ამას ვერ დავიჯერებ; ისე თუ მომელანდა; უეჭველია, სიზმარში მომეჩვენა.

და არა ერთხელ უნდა გადეკითხნა დედისაგან დაწერილი საშინელი სტრიქონები და თავის თავი დაერწმუნებინა, რომ ეს ნამდვილია.

მერე ცოტ-ცოტაობით თავი დაანება საზარელ წარსულს შეუდგა თავის მომავლის გამოკვლევის ფიქრ-

ნემეცები იკრიბებიან, სჯიან, სთხზვენ პროტესტებს ფრანცუზების წინააღმდეგ. მაგრამ ფრანცუზები სრულიადაც არ ფიქრობენ მათ დამევგობრებას, აზრადაც არ მოსდით მათთან დაახლოვებაო.

თებერვლის 24 (მარტის 7) საფრანგეთი დღესასწაულობს რევოლიუციის დღეობას. ამ დღეს დაუდგმენ ძეგლს ერთს რევოლიუციის დროის გამოჩენილს მომქმედს ლედრიუ-როლენს. ამავე დღეს გამოჩენილს მწერალს ვიქტორ-ჰიუგოს შეუსრულდება 83 წ. ამ გარემოებით დანიშნულ დღესასწაულს მეტი ბრწყინვალება მიემატება.

# ტელეგრამები

,,ჩრდილოეთის სააგენტოსი''.

თებერვლის 23-ს.

ირკუტსკი. დღეს წავიდა აქედან ექსპედიცია მდ. იანით ახალ-ციმბირის კუნძულზე. ექსპედიციას შეადგენენ დოქტორი ბუნგე და ბარონი ტოლი.

გონკონგი. ამბობენ, ჩუ-ჩე-ჩუდან გამოსატან ჩაის $3^1/_2$ ტაელი მოემატებაო ბაჟად.

კაირი. ღენერალი უოლსლეი თავის დღიურს ბრძანებაში მადლობას უცხადებს ჯარებს თავ-განწირულებისათვის და იმედი აქვს, რომ საშემოდგომოდ ხართუმისკენ გაილაშქრებენ.

ოლმიუცი. ქვა-ნახშირის მადნების მიდამოში გაზმა იფეთქა; დაზიანდა 123 მადნის-მუშა, რომელთა უმრავლესობა ზოგი დაიღრჩო და ზოგიც დაიწვა.

პეტერბურგი. შინაგან საქმეთა მინისტრის განკარგულებით გაზეთს ეხოს 8 თვით მოესპო უფლება ცერძო განცხადებათა ბეჭდვისა.

პარიჟი. მარსელში ხოლერის გაჩენაზე გავრცელებული ხმები ტყუილი გამოდგა. იმ გაზეთებს, რომელნიც ამ ხმას ავრცელებდენ, პასუხის გებაში აძლევენ.

ბრიერ-დე-ლილი იწერება, რომ მარტის 31 (ახალი სტილით) ტუანგვანში მისვლის წინად წავაწყდი ,,შავ-დროშათა'' და იუნანის არმიას, რომელთაც ძლიერ მაგარი ადგილები ეჭირათო. ჩვენ გვქონდა მათთან ცხარე ბრძოლა ტუანგვანის დაჭერამდის, რომლის შემდეგ ჩინელები შვიდჯერ მივიდენ ფრანცუზთა მეციხოვნეებზე იერიშით, მაგრამ ძლიერ დაზიანდენ.

ბერლინი ,,ჩრდილო გერმანიის საზოგადო გაზეთი'' ამბობს შემცდარიაო გიზეთების ცნობები, რომელნიც მოგვითხრობდენ, რომ გერბერტ ბისმარკის ლონდონში წასვლას ვითომც საგნად ჰქონებოდეს რუსეთისა და ინგლისის შორის მორიგება ავღანისტანის საქმეებშიო. წინააღმდეგ ამისა, ჩვენ შეგვიძლია დავარწმუნოთ მკითხველნი, რომ ავღანისტანის საქმეებს არავითარი კავშირი არა აქვსთ გერბერტ ბისმარკის ლონდონში წასვლასთან, და რუსეთისა და ინგლისის შორის უთანხმოება სრულიადაც არ არის ისე გაძნელებული, რომ მესამე სახელმწიფო საჭიროდ სთვლიდეს მათს მორიგებასაო.

თებერვლის 25-ს.

პეტერბურგი. სამზღვარ გარეთის წვრილ რკინეულობაზე ბაჟის მომატება დაბოლოებით შემუშავებულ იქმნა და წარედგინება სახელმწიფო რჩევას.

გაზეთ ეხოს რედაქცია აცხადებს ამ გაზეთის გამოცემის დროებითს შეჩერებას.

ნიკოლაევი. ნავიგაცია დაიწყო.

---

,,დროების'' ფოსტა.

ქ. იარ—ს. მ. ქ—შვილს. თქვენს მეორე წერილს ვუცდით. იმის მიღებამდე პირველსაც ვერ დავბეჭდავთ.

მღ. ა—შვილს. საზოგადო ხივილს თავი დაანებეთ; ნამდვილი შემთხვევები აღგვიწერეთ, თქვენის ხელმოწერით და ბეჭდის დასმით შეამოწმეთ და მაშინ დავბეჭდავთ.

ქ. ა—პოლს. მ. ჯ—ას. არა ღირს დაბეჭდვად.

---

# ცნობანი

სამკურნალოში, რომელიც თბილისს მოქალაქეთ დაარსეს სახსოვრად 4 აპრილისა 1866 წლისა, ავად-მყოფნი მიიღებიან დილის 8 საათიდამ 12 საათამდინ.

ყოველ დღე მიიღებენ ამ სამკურნალოში ავად-მყოფებს შემდეგი ექიმები: ტერ-გრიგორიანცი—8 საათიდამ 9 საათამდინ. სნებით, ქალებო და საბავშვო ავადმყოფობის საწამლელად; ადამიანცი—9-დამ 10-საათამდე შინაგან და ნერვულ ავადმყოფობათა საწამლელად; ბენკლევსკი—10—11 საათამდე.—სახირურგო, სასიფილისო ავადმყოფობის წამლობისათვის და აგრეთვე კბილისა და ყურის ტკივილის საწამლელად; შტემბორსკი 11—12 საათამდე სიფილისისა და სხეულზე გამოყრილი მუწუკების წამლობისათვის. ამას გარდა გარალევიჩი ორშაბათობით 9—10 საათამდე შინაგან ავადმყოფობას წამლობისათვის; კორონა ორშაბათობით, სამშაბათობით, ხუთშაბათობით და შაბათობით შინაგან ავადმყოფობათა წამლობისათვის 10—11 საათამდე; მინკევიჩი სამშაბათობით და პარასკევობით 9—10 საათამდე ხირურგიული ავადმყოფობისათვის; სამსონსკი სამშაბათობით და შაბათობით 11—12 საათამდე თვალის ტკივილის საწამლელად; კრასნოგლიადოვი ორშაბათობით და პარასკევობით 10—11 საათამდე შინაგან ავადმყოფობათა წამლობისათვის; ვოლფსონი კბილის ტკივილის საწამლელად მიიღებს თავის სახლში ყოველთვის ღარიბ ავადმყოფებს, რომელთაც სამკურნალოდამ ბარათი ექმნებათ.

---

# მაზანდა

ხორაგისა, რომელიც იყიდება თბილისის ბაზრებში, დუქნებში და ხელდა-ხელ 1 თებერვლიდამ 1 მარტამდე 1885 წ.

გამომცხვარი პური რუსეთის ფქვილისა— —1 გირ. 5 კ.

აქაურის ფქვილისა: პირველის ხარისხისა— —1 გ. $2^1/_2$

| | | | |
|---|---|---|---|
| მეორისა— — | —1 | გ. | 2 კ. |

იმავე ფქვილ. თორნეში გამომცხვარი:

| | | | |
|---|---|---|---|
| პირველი ხარისხის | —1 | გ. | $4^1/_2$ |
| მეორისა— — | —1 | გ. | 3 კ. |
| მესამისა — — | —1 | გ. | $2^1/_2$ |

ჯვარის-მამი პური:

| | | | |
|---|---|---|---|
| პირველი ხარის. ლავაში | 1 | გ. | $4^1/_2$ |
| მეორის ხარის. ლავაში | 1 | გ. | $3^1/_2$ |
| მესამისა — — | —1 | გ. | 3 კ. |

ძროხის ხორცი:

| | | | |
|---|---|---|---|
| პირველის ხარისხისა | —1 | გ. | 8 კ. |
| მეორისა — — | —1 | გ. | 7 კ. |
| სუკი . . . | —1 | გ. | 15 კ. |
| ცხვრის ხორცი | —1 | გ. | 8 კ. |

ღორის ხორცი:

| | | | |
|---|---|---|---|
| პირველის ხარისხისა | —1 | გ. | 8 კ. |
| მეორისა — — | —1 | გ. | 7 კ. |

---

# რკინის გზა

თბილისიდამ ბათუმისკენ მიდის 8 საათზედ და 31 წამ. დილით

თბილისიდამ მარტო ხაშურამდინ 3 საათ. და 11 წამ. შუადღის უკან.

თბილისიდამ ბაქოსკენ 10 საათზედ და 45 წამ. დილით. (სამშაბათობით და შაბათობით საჩქარო 10 ს. 58 წ. ღამ.)

ქუთაისიდგან თბილისისკენ 12 საათზ. და 25 წამ. შუადღ. უკან.

---

სა და უნებლიედ თავის თავზედ გადავიდა. ზანა ამ ზნეობრივი მემკვიდრეობით ამაყობდა და თითონაც ოდესმე თავის შვილებს ეს საუნჯე უნდა გადასცეს? ამის მამა ხომ საშინელი დამნაშავე იყო, მაშ ჩამომავლობით ამასაც ჩაესახებოდა დანაშაულობისადმი მიდრეკილება.

ეს აზრი გულს შუაზედ უპობდა.

არა თუ მამაშვილური სიყვარული საუკუნოდ გაუქრა, არა თუ არაფერი მეცადინეობა აღარ დასჭირდებოდა, რომ მამის სახელი სრულიად ამოეშალა გავლილ ცხოვრებიდამ; არა,—ამას გარდა თავის მომავალი სიცოცხლე სამუდამოდ უმწარდებოდა. იმ სახელოვანმა ფილოსოფიურმა სწავლამ, რომელსაც ამან ნათელი მოჰფინა, სრულიად შეიპყრო ამისი აზრები.

შაკი ბედს არ უტყდებოდა: როგორც-კი ნამდვილი გარემოება წარმოუდგებოდა თვალ-წინ, ესეც მაშინვე დასამარცხებელ იარაღს მოიმარჯვებდა.

—მართალია, არწმუნებდა იგი თავის თავს,—იქნება ნასახი მქონდეს ჩემს აგებულებაში, მაგრამ ნაყოფს-კი ვერ გამოიღებს: გარეგანნი შემთხვევანი ხელს არ უმართავენ. გარდა მაგისა, რადგან მე თითონ ყველა ვიცი, ფხიზლად ვიქნები; ვეცდები, ძირიანად ამოვფხვრა ეგ ბუნებითი მანკი და თუ მაგითიც ვერას გავხდი, მის დასრულებას ხომ მაინც შევაჩერებ. ეს სრულიად პსიხოლოგიური მანკი არ არის; მამა ჩემი დამნაშავე იყო, მაშასადამე ავი გულის პატრონი ყოფილა; ჭკუა-გონება-კი იმას, ეჭვი არ არის, ვრცელი ჰქონდა; მხოლოდ ცუდი ზნე სჭირებია. მე ყოველთვის კეთილი ვიქნები, ამიტომ რომ მინდა კეთილი ვიყო.

შაკი თან-და-თან გამხნევდა, შეეჩვია თავის მდგომარეობას და თავისი შვილებრივი სიყვარული სულ დედაზედ გადიტანა.

მაგრამ რაც უნდა ძალა დაეტანებინა თავის თავისთვის, მაინც მამაზედ ფიქრი ვერ მოეშორებინა. საუბედუროდ, ეჭვი აღარ არის, ამის მამა ულმერთო დამნაშავე იყო, მაგრამ ამ დანაშაულობის მიზეზი ვერ შეეტყო. საიდამ გაჩნდა ასე უცბად დიდი ხნის სიყვარულის შემდეგ ასეთი უზომო მძულვარება? ამის პასუხს ვერ მიხვედრილიყო და იძულებული შეიქნა, თავი დაენებებინა იმ ფიქრებისთვის, რომელნიც ამის ასახსნელად თითო-თითოდ მოსდიოდა თავში.

მაგრამ რა დასაჯერებელია, რომ მაგისთანა განვითარებული ჭკუის პატრონმა, მაგისთანა გონიერმა და დარბაისელმა კაცმა უმიზეზოდ ჩაიდინოს მაგისთანა საზიზღარი საქმე? მიზეზი იქნებოდა, მაგრამ რა მიზეზი? დედაზედ ხომ ეჭვი არ აიღო! მგონი რომ აგრე უნდა იყოს.

მაშინ შაკმა ერთი კიდევ გადიკითხა ის ადგილი დღიურიდამ, მარტის 2-ს რომ იყო ჩაწერილი, სადაც მისი დედა აწერდა თავის გაოცებას, როდესაც პირველად შეამჩნია ქმრის მრისხანედ თვალის ადევნება ამის ტანციობის დროს პრალესთან.

ეს არის დანაშაულობის მიზეზი—იჭვნეულობა! თუმცა საბუთი ეჭვის ასაღებად არა ჰქონდარა, მაგრამ თვალები სრულიად ახვევია ამ კაცს, რომელსაც გარეგნად გულ-გრილობა ეტყობოდა და ნამდვილად-კი მხურვალე აგებულებისა ყოფილა: განა თითონაც მაგ ხასიათისა არ არის და თუ როდისმე ცოლზედ ეჭვს აიღებს, განა წინასწარ შეუძლიან სთქვას, თუ როგორ წაიყვანს საქმეს? დიაღ, საქმე სწორედ ასე ყოფილა; და თუ დანაშაულობა ისევ ისე საზიზღარი დარჩა, მიზეზი ხომ მაინც ცხადადა ჩნდა; მაშ თუ ამის ძარღვებში დამნაშავის სისხლი სდგას, ეს სისხლი დიდად სათაკილო მაინც არ არის.

(გაგრძელება შემდეგ)

ეროვნული

ქუთაისიდგან ბათუმისა და ფოთისკენ
5 საათზედ და 20 წამ. შუადღის უკან.

ბათუმიდგან თბილისისკენ
8 საათ. დილით.

ფოთიდგან თბილისისკენ
8 საათ. და 45 წამ. დილით.

ფოთიდამ დ ბათუმიდამ მომავალი თბილისში შემოდის
10 საათზედ და 25 წამ. ღამით.

მარტო ხაშურიდამ მომავალი თბილისში შემოდის
8 საათზედ დილით

ბაქოდამ მომავალი შემოდის თბილისში
2 საათ. და 30 წამ. შუადღის უკან.
(სამშაბათობით და ხარასკევობით საჩქარო 7 ს. 53 წ. დილ.)

---

**სააავადმყოფოს დირექტორი ბ-ნი ევრამიშვილი** ამით აცხადებს, რომ ქ. **თბილისის** მოქალაქეთა მიერ გერეშე მოსიარულე ავადმყოფთათვის დაარსებულს საავადმყოფოში 1866 წლის აპრილის 4-ის მოსაგონებლად შემოღებული არის მცხოვრებთა შეღავათისათვის ღამღამობით მორიგად ყოფნა ბბ. ექიმთა და ბებიათა.

**ექიმები:**

**არუთინიანი**, ორშაბათობით, ხუთშაბათობით და კვირაობით.

**კორონა**, სამშაბათობით და შაბათობით.

**მელიქ-ფარსადანოვი**, ოთხშაბათობით და პარასკევობით.

**ბებიები:**

**ფილჩაკოვისა**, სამშაბათობით.

**ბაგინოვისა**, ორშაბათობით, და პარასკევობით.

**სტეფანოვისა**, ოთხშაბათობით და შაბათობით.

**ლოქშისა**. ხუთშაბათობით და კვირაობით.

---

# განცხადებანი

ქუთაისის ქალაქის გამგეობაში მომავალის მარტის თვის 5-ს დანიშნული არის ვაჭრობა (უპერეტორჟკოთ) გაცემისათვის იჯარით, ორის წლის ვადით **ქალაქის განათებისა**. ვაჭრობა დაიწყება ათს საათზედ და გათავდება ორ საათზე. პირობების გაცნობა მსურველთ შეუძლიანთ გამგეობაში ყოველ დღეს, გარდა უქმიდღეებისა. (3—1)

---

დილის 10 საათიდამ
**თებერვლის** 27 და 28.

**თბილისის** საუქციონო კამერა ამით აცხადებს, რომ არწრუნისეულ გალერეიაში **გაიყიდება** საგალანტერეინო და მანუფაქტურული ნივთები და მატერიები ქალების ტანისამოსისათვის; აგრეთვე წერისათვის საჭირო ნივთეულობა. (2—1)

---

**ფოთის ურთიერთშორის კრედიტის საზოგადოების მმართველობა**, თანახმად საზოგადოების წესდების 32 და 33 პარაგრაფისა, მოიწვევს ბ.ბ. წევრთ საზოგადო კრებაში მარტის 10-ს 1885 წ. დილის ათ საათზე, საზოგადოების სადგომში

ა) გასარჩეველად და დასამტკიცებლად ანგარიშისა საზოგადოების მოქმედებაზე 1884 წლისა,

ბ) 1885 წლისა ხარჯთა აღრიცხვისათვის,

გ) ამოსარჩევად ნაცვლად სამსახურიდამ გამომავალთა: თავს-მჯდომარის დიმიტრი დანიელის-ძის სმირნოვისა; მმართველობის დირექტორის—მავრიკი ბერენგარდის-ძის მენდელის და მმართველობის დეპუტატების: ლუარსაბ ლევანის-ძის ჭიჭინაძის, ლევან მიხეილის-ძის გუნიას და აარონ აბრამის-ძის მიხელაშვილისა, და

დ) აგრეთვე ამოსარჩევად სარევიზიო კომისიის წევრთა და მათის კანდიდატებისა. თუმც კრება არ შესდგა დანიშნულ დღეს, ამ გვარივე ინიშნება მარტის, 28 ს რომელშიაც წესდების 34 პარაგრაფის თანახმად გადაწყვეტილებანი იქმნებიან დადგენილნი დამსწრე წევრებისაგან რამდენიც უნდა იყოს მათი რიცხვი.

(1—1)

---

**ინგლისური რკინის კრაოტები.**



ერთის საწოლი 6 მანეთიდგან და ორის საწოლი 10 მანეთიდგან, მათი ლეიბები, ზღვის ბალახით გატენილი 4-დგან 8 მანეთამდინ. კიდევ შემდეგი ნივთები იყიდება 25%-თ უფრო იაფად, კიდრე სხვაგან სადმე: ბრიტანიის მეტალის ნივთები, ჩაიდნები, საგარაქე, სამაკრე, კოვზები, შეფილდის დანები ჩანგლებით, სამართლებლები, დასადგმელი პირის საბანი, სტაქნები, სუფრაკნიკი, საწყაო, სვები, რიუმკები, საქაშური თებშები, ბლიუდები, სასალათეები, ტაშტები, სარძევეები, სამარილეები, გარჩიცის საფხეკები, პრობკის ამოსაღები, პრობკები, კლიტეები, გასაღებები, კრანტები, აღვირები, ხლისტები, ტანისამოსის დასაკიდებლები, საბალო მკრატლები, გაქსები, უთოები, წისქვილები, ხერხები, ქლიბები, ინგლისის თოფები და რევოლვერები, პიკები, ზარადები, კაპსიულები, ხაფანგები, ნიჩბები, ვატერპრუფი, საბნები, ჩულქები, წინდები, სუფრები, სალფეტკები, რგოლები, ემალიანი ჭურჭელი, მურაბები, კამფეტები, პიკულები, სოუსები, ზღვის ბალახი, დიმიტიკონები, ბომაზეი და სხვ. **ინგლისურს** მაღაზიებში არწრუნისეულს ქარვასლაში №№ 95, 94, 93, 91, და 90, 89, 88, 87, 86, და 85, უდიდესი ჩაის მაღაზია თბილისში. (100—5)

---

# ქავა მოკა

ს. სიუ და კო.

(Ц. 2592). (46—4)

---

**რამაშკა ბურელისა**

საუკეთესო საშუალება აქამომდე ცნობილ საშუალებათა შორის.

უეცრად სწყვეტავს ყოველ-გვარ შინაური მწერს, როგორც მაგ. ჭრიჭინებს, პრუსაკებს, ბაღლინჯოებს, რწყილებს, ჯიანჭველებს, ნამის ჭიებს და სხვ.

იგი მოქმედობს უეცრად,

არ შეიცავს არავითარ კაცის ჯანისათვის მავნებელს ნივთიერებას. რომ არავინ არ მოახერხოს თავად მიითვისოს ამ წამლის გამოგონება, გთხოვთ მიაქციოთ ყურადღება გამომგონის ხელის-მოწერას, რომელიც ამ „რამაშკა ბურელის" ყველა კოლოფზეა.

ფასი კოლოფისა 75 კაპ. და 40 კაპ.

ისყიდება ყველა რუსეთის საუკეთესო მაღაზიებში.

უმთავრესი დეპო ამიერ—კავკასიისათვის არის **თბილისში** „კავკასიის საზოგადოება სააფთიაკო საქონლით ვაჭრობისა და მის განყოფილებში ბაქოს. .Ц. 19,485

(25—16)

---

გამოვიდა და ისყიდება

**ზღაპრული პოემა გ. წერეთლისა**

# ლომ-კაცი

გამოცემა «ნობათის»-ს რედაქციისა, ვენაში და პეტერბურღში ცინკოგრაფიით დამზადებულის სურათებით. ფასი ყველგან სამი აბაზი.

**ისყიდება:** თბილისში—«ნობათის» ს რედაქციაში, გ. ჩარკვიანის წიგნის მაღაზიაში, ვ. შავერდოვის საგენტოში და ქუთაისში—ძმ. ჭილაძეთა წიგნის მაღაზიაში. გორში—ს. მგალობლიშვილისას. თელავში—ივ. როსტომაშვილისას. ბათუმში—მოსე ნათაძისას.

ვინც პირ-და პირ «ნობათის»-ს რედაქციიდამ ათს ეგზემპლიარს დაიბარებს, წიგნი ეღირება ათი შაური.

(10—9)

---

**გაყიდვა 5% სახელმწიფო მომგები ბილეთებისა**

ფასის წვრილ-წვრილად გადახდით.

ბილეთები იყიდება ს. პეტერბურგის ბირჟას ოფიციალურ ფასად; ყიდვის დროს უნდა შემოტანილ იქმნას 20 მან. ბილეთზე, დანარჩენი ფულიკი უნდა შემოიტანოს მყიდველმა თვე-და-თვე, როგორც თვითონ განსაზღვრავს—თითო თუმნობით, თუ ხუთ-ხუთ მანათობით. ვადაზე შემოსატანი გადასახადის დამგვიანებელს ეძლევა კიდევ 30 დღე საშეღავათოდ. ბეის მიცემის დღიდან ყოველივე მოგება, რომელიც ხვდება ნაყიდს ბილეთს, სრულიად ეკუთვნის მყიდველს. კანტორის სასარგებლოდ არაფერი არ გამოერიცხება მოგებს. ბილეთის მყიდველს ეკუთვნის აგრეთვე ყოველივე მოსალოდნელი საკურსო ფასის მომატება ბილეთზე. მოგების ტირაჟი არის ხოლმე: პირველი სესხის ბილეთებისა—იანვრის 2-ს და ივლისის 1-ს; მეორე სესხის ბილეთებისა მარტის 1-ს და ენკენისთვის 1-ს ყოველ-წლივ შემდეგის პლანით: ერთი მოგება არის 200,000 მანათიანი, ერთი 75,000 მან., ერთი 40,000 მანათიანი, ერთი 25,000 მანათიანი, სამი 10,000 მან., ხუთი 8,000 მან. რვა 5,000 მან. ოცი 1000 მან. და ორას სამოცი 500 მანათიანი. მომგები ბილეთის დაზღვევა რომ ტირაჟში არ გამოვიდეს ღირს—ათი შაური ბილეთზე. **აგენტი ს. პეტერბურგის ბანკირის ф. ა. კლიმის კანტორისა: ი. კ. საულიდი ბათუმში.**

ქვემო-ხსენებული კანტორა ამით ამოწმებს, რომ **აგენტი ი. კ. საულიდს**

მინდობილი აქვს ჰყიდოს კანტორის სახელით ხვედრი ფულის დაცალებით 5% სახელმწიფო მომგები ბილეთები ორთავე სესხისა, აგრეთვე მიიღოს ისინი დასაზღვევად ტირაჟში გამოსვლიდან, თანახმად კანტორისაგან მიცემულის ვექილობისა.

ბანკირის კანტორა ф. ა. კლიმისა ს. პეტერბურგში.

(10—8)

Доз. ценз. Тифлисъ, 25 Февраля 1885 г. სტამბა არ. ქალანდაძისა და ამხ. გამომცემელი გ. ქართველიშვილი. რედაქტორი ი. მაჩაბელი.